ახალციხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულება

განკარგულება:**გ-13. 13250585**

თარიღი:**27/02/2025**

ახალციხის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების სახელმწიფოსათვის საკუთრებაში უსასყიდლოდ გადაცემის შესახებ თანხმობის მიცემის თაობაზე

,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი'' საქართველოს ორგანული კანონის 16-ე მუხლის მე-2 პუნქტის „ბ'' ქვეპუნქტის, 24-ე მუხლის პირველი პუნქტის „ე.ე'' ქვეპუნქტის, 61–ე მუხლის პირველი და მე-2 პუნქტების, ამავე კანონის 108-ე მუხლის შესაბამისად,

1. მიეცეს თანხმობა ახალციხის მუნიციპალიტეტის მერს, გადასცეს სახელმწიფოს უსასყიდლოდ, ახალციხის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონება, კერძოდ, ახალციხის მუნიციპალიტეტის სოფელ წყრუთში, არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი და მასზე განთავსებული შენობა - ნაგებობა N1 (საკადასტრო კოდით N62.07.53.133), შემდგომში თანასაკუთრებაში არსებულ N62.07.53.084 საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ უძრავ ქონებაში (30.00 კვ.მ. სასოფლო-სამეურნეო (სახნავი) მიწის ნაკვეთი და მასზე განთავსებული ობიექტი N1 დამხმარე სათავსო) გაცვლის მიზნით.

2. განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე;

3. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს დაინტერესებული პირის მიერ მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში ახალციხის რაიონულ სასამართლოში (მის: ქ. ახალციხე, მებაღიშვილის ქ. N60ა).

დავით ლომიძე

ახალციხის მუნიციპალიტეტის საკრებულო-
საკრებულოს თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი